საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეზატი

ეზატი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის კავთისხევის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 720 მ, კასპიდან 10 კმ, კავთისხევიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 კმ. 307 მცხ. (2002).

ე. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIV ს-ში. გიორგი სააკაძემ ე-ის მამულები უბოძა იმერეთიდან გადმოსულ ჩივაძეებს. 1398 ალექსანდრე მეფემ ე-ის შეწირულობა განუახლა სვეტიცხოველს. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით (XVIII ს.) ე. კავთისხევს ეკუთვნის. სოფელში, ჩივაანთ უბანში, დგას გვიანდელი შუა საუკუნეების ნათლისმცემლის დარბაზული ეკლესია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., კავთურას ხეობა, თბ., 1960.